ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 42

26 აგვისტო, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კახა აბულიძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, რუსთაველის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი შესახვევისთვის და ხუთი ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთისთვის მხატვრის ნათელა იანქოშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის I შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის შესახვევისთვის, ყვარლის შესახვევისთვის და ყვარლის II ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ენათმეცნიერის, ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე გიორგი III-ის სახელის მინიჭების შესახებ
14. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის #198 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, მე-3 კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი გოგოლაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პოეტისა და მთარმნელის გიორგი ბესთაუთის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოსაზრებები გამოთქვეს.

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარმოაგდინა.

კომისიის წევრებს განუმარტა, რომ კომისიაში შემოსულია მოქალაქე ვენერა ოშორიძის წერილი, რომელიც ითხოვს საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი კახა აბულიძის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის ქუჩის და სკვერის სახელდების საკითხი წარუდგინა კომისიას და აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე ე. წ. ბექას ქუჩის სახელწოდება დაკავშირებულია ბექა ფილფანთან. ვინაიდან ბექა ფილფანი ხსენებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ადგილობრივ მოსახლეობას ქუჩისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის გარეშე უწოდებია მისი სახელი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს და ბექას ქუჩას, რომელიც რეალურად უსახელოა, მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელი.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ივანე ბერიაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვდა გეოგრაფიული ობიექტისთვის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭებას, რომელსაც

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი განიხილეს. კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული სახელდება წინააღმდეგობაშია სახელდების წესის ნორმებთან, რადგან ქუჩის სახელწოდებაში სახელი „შოთა“ საერთოდ გამქრალია და გვხვდება მხოლოდ „რუსთაველი“.

კომისიაში შემოსულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაალ აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორის და საზოგადო მოღვაწის სიმონ კლდიაშვილის სახელი. იგი იყო ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი. ავტორია თსუ შენობის პროექტისა. ზოგადად, სიმონ კლდიაშვილის არქიტექტორული პროექტების დიდი ნაწილი დედაქალაქში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა და თბილისის განაშენიანებისა და იერსახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენად იქცა. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I და II შესახვევების მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადებები, რომლების ითხოვდნენ აღნიშნული შესახვევებისთვის სახელის მინიჭებას. კომისიაში შემოსული იყო მოქალაქე თეიმურაზ დვალიშვილის განცხადება, რომელიც ითხოვდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა მხატვარ ნათელა იანქოშვილის სახელი. ასევე კომისიაში შემოსული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის წერილი, რომლითაც ითხოვდა ჩუღურეთის რაიონში მდებარე ტყვიავის ქუჩისთვის ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭებას. კომისიამ მიზანშეუწონლად ჩათვალა ტყვიავის ქუჩისთვის სახელის გადარქმევა. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და დადებითად გადაწყვიტა ზემოაღნიშნული ტერიტორიისთვის ნათელა იანქოშვილისა და ბიძინა ნანეიშვილის სახელების მინიჭების საკითხი.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-7 და მე-8 საკითხები. 2019 წელს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში ე.წ. რეხის დასახლებაში მდებარე ქუჩებს მიენიჭა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა სახელები. კომისიამ საკითხის განხილვის დროს გადაწყვიტა, რომ დასახლების მიმდებარედ არსებულ ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭებოდა რეხის სახელი. მოსახლეობასთან კონსულტაციის და გზათა ქსელის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების განლაგება არ იძლევა ახალი ქუჩის წარმოქმნის შესაძლებლობას. თამუნა დოლიძის ქუჩაზე მაცხოვრებლებთან რამდენჯერმე შეხვედრის საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხსენებული ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის თამუნა დოლიძის სახელის მინიჭებას, ხოლო ჩუღურეთის რაიონში, გადაწყვიტეს თამუნა დოლიძის ქუჩას მიენიჭოს რეხის ქუჩის სახელი.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად ასევე განიხილა და დადებითად გადაწყვიტა ისნის რაიონში რამდენიმე ქუჩის სახელდების საკითხი, მათ შორის ციხისძირის I შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის სახელის მინიჭების საკითხი, მესხეთის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელის მინიჭება, ასევე ვარკთილის მე-4 მ/რაიონში უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი გოგოლაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელის მინიჭება, ხოლო ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის აკადემიკოსის და ფსიქიატრის ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭება.

თინათინ ნიბლოშვლმა კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა და მხარი დაუჭირა ვაკის რაიონში, ბეთანიაში უსახელო ქუჩისთვის მეფე გიორგი III სახელის მინიჭებას. ასევე იმსჯელეს ნაძალადევის რაიონში ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

დადებითად გადაწყვიტეს სამგორის რაიონში ქინძმარაულის ქუჩის შესახვევისთვის ოსი ეროვნების პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის სახელის მინიჭების საკითხი, რომელმაც ოსურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი